

დრეზდენის არქივში პუტინის „შტაბის“ მოწმობა იპოვეს



გერმანური გამოცემა Bild-ი ვადღიმერ პუტინის „შტაბის“ მოწმობის ფოტოს აქვეყნებს, რომელიც ამტკიცებს, რომ რუსეთის პრეზიდენტი აღმოსავლეთ გერმანიის სახელმწიფო უშიშროების სამსახურში მუშაობდა. გამოცემაში აცხადებენ, რომ

ახადგაბრდა პუტინი ამ სამსახურში ბერლინის კედლის დანგრევამდე მოღვაწეობდა.

პუტინის „შტაბის“ მოწმობა ყოფილი სახელმწიფო უშიშროების სამსახურის დრეზდენის სამმართველოს არქივში იპოვეს. რუსეთის მომავალ დიდერს მოწმობა 1985 წლის 31 დეკემბერს მისცემს და 1989 წლამდე სამჯერ გაუგრძელებს მოქმედების ვადა, აღნიშნავს გერმანური გამოცემა. ეს მოწმობა პუტინს უფლებას აძლევდა, შესურდყო “შტაბის” ქვეგანყოფილებებში და აგენტები გადაეხირობინა. დრეზდენის არქივის დირექტორს კონრად ფედბერს უკვირს, განადგურების მაგივრად რატომ ჩააბარა პუტინმა ეს მოწმობა არქივში.

რუსეთის პრეზიდენტის პრეს–მდივანმა მომხდართან დაკავშირებით ჟურნალისტებს ურჩია, რუსეთის საგარეო დაზვერვას მიმართონ.

„შემიძლია ვივარაუდო, რომ იმ დროს საბჭოთა კავშირის უშიშროების სამსახურის კომიტეტი (კაგებე) და „შტაბი“ თანამშრომლობდნენ და არ გამოვრიცხავ, რომ მოწმობების გაცვლა მოხდა“, – განცხადა პესკოვმა.

აღსანიშნავია, რომ პუტინის აღმოსავლეთ გერმანიის სახელმწიფო უშიშროების სამსახურთან კავშირის შესახებ გერმანიაში არაფერი

იცოდნენ და ამ კავშირის დამამტკიცებელი საბუთები ამ დრომდე
ნაპოვნი არ ყოფილა.

https://twitter.com/BILD/status/1072248765300596737?ref_src=tw_src%5Etfw%7Ctwcamp%5Etweetembed%7Ctwterm%5E1072248765300596737&ref_url=https%3A%2F%2Ftvrain.ru%2Fnews%2Fshtazi_na_imja_putina-476816%2F